ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №29-2014

ნორმატიული აქტების საინფორმაციო-საძიებო სისტემა «კოდექსი-ოფისი 2007»-ის ინფორმაციულ მომსახურებაზე

ქ. თბილისი 20 თებერვალი, 2014 წ.

შ.პ.ს. "ინფოსერვისი" მისი დირექტორის **ზურაბ თეთრაძის** სახით, წოდებული შემდგომში "მიმწოდებელი", ერთის მხრივ და სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **ქეთევან ქოქრაშვილის** სახით, წოდებული შემდგომში "შემსყიდველი" მეორეს მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი გადასცემს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საინფორმაციო-საძიებო სისტემას - "კოდექსი-ოფისი 2007" (შემდგომში "კოდექს-ოფისი"). (CPV 48611000 - მონაცემთა ბაზის პროგრამული პაკეტები) "კოდექს-ოფისი" მუშაობს ოპერაციულ სისტემებში - MS-WINDOWS 7/XP, და შედგება სამი პროგრამისაგან:

ა) "კოდექსი 2007"

ბ) "კოდექსი 2007 - კოდიფიცირებული"

გ) "კოდექსი 2007 - საერთაშორისო ხელშეკრულებები"

1.2. "კოდექსი 2007" მოიცავს მიღებულ და მოქმედ:

- საქართველოს კონსტიტუციას;
- საქართველოს პარლამენტის კანონებს და დადგენილებებს;
- საქართველოს პრეზიდენტის (პარლამენტის თავმჯდომარე-სახელმწიფო მეთაურის) ბრძანებულებებს და განკარგულებებს;
- საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების განჩინებებს, გადაწყვეტილებებსა და პლენუმის დადგენილებებს;
- საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის (მინისტრთა საბჭოს, მინისტრთა კაბინეტის) ძირითად დადგენილებებს;
- საქართველოს ეროვნული ბანკის, საგადასახადო სამსახურისა და ფინანსთა სამინისტროს მიერ 1993 წლის 1 იანვრიდან მიღებულ ძირითად კანონქვემდებარე და ნორმატიულ აქტებს (დადგენილებები, ინსტრუქციები, დებულებები, მითითებები, წერილები, და ა.შ.);
- ქ. თბილისის საკრებულოსა და მერიის საქალაქო კოლეგიის გადაწყვეტილებებს, აგრეთვე მუნიციპალიტეტის კაბინეტის დადგენილებებს;
- საბაჟო სამსახურის, ქონების მართვის სამინისტროს და სხვა სამინისტროების მრავალ დოკუმენტს.

1.3. "კოდექსი 2007 - კოდიფიცირებული" მოიცავს მიღებულ და მოქმედ და კოდიფიცირებულ საქართველოს ყველა კანონსა და კოდექსს;

1.4. "კოდექსი 2007 - საერთაშორისო ხელშეკრულებები" მოიცავს მოიცავს მიღებულ საქართველოს მიერ ხელმოწერილ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს, ოქმებს, დეკლარაციებს, მრავალმხრივ ხელშეკრულებებს, საერთაშორისო კონვენციებს;

1.5. შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის, მე-3 პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად).

2. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა

2.1. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე,

3. შესყიდვის ობიექტის ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. მონაცემთა ბაზების ყოველკვარტალური ინფორმაციული განახლება ერთ კომპიუტერზე (სერვერზე) ანაზღაურდება კვარტალში **120 (ას ოცი)** ლარის ოდენობით, ხოლო "კოდექს-ოფისი"-ს სხვა კომპიუტერებზე დაყენების შემთხვევაში, ყოველი დამატებითი კომპიუტერისათვის აღნიშნულ თანხას კვარტალში დაემატება **30 (ოცდაათი)** ლარი.

3.2. მონაცემთა ბაზების ყოველკვარტალური ინფორმაციული განახლება 25 (ოცდახუთი) კომპიუტერისათვის კვარტალში შეადგენს **840 (რვაას ოთხმოცი)** ლარს. ხელშეკრულების წლიური ღირებულება შეადგენს **3360 (სამი ათას სამას სამოცი)** ლარს.

3.3. გადახდა მოხდება ყოველკვარტალურად, წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით.

3.4. ზემოთ აღნიშნული ყველა თანხა მოიცავს დამატებითი ღირებულების გადასახადს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს სტუ-ს მხრიდან განახორციელებს რ. ჩიქვინიძე (შესყიდვების განყოფილების მთ. სპეციალისტი), ხოლო მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება მიმწოდებელსა და შემსყიდველის მხრიდან: ნ. ხოლუაშვილი (იურიდიული დეპარტამენტის უფ. მოადგილე) შორის.

4.2. საქონლის მიწოდება დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს "კოდექს-ოფისი"-ს ინფორმაციული განახლება არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ, ახალი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მიღების შესაბამისად.

5.2. "კოდექს-ოფისი"-ს ინფორმაციული განახლება შემსყიდველის სურვილის თანახმად მოხდება ელექტრონული ფოსტის გამოყენებით.

5.3. შემსყიდველი ვალდებულია დაიცვას საინფორმაციო-საძიებო სისტემა "კოდექს-ოფისი" არასანქცირებული გამრავლებისაგან.

5.4. შემსყიდველი ვალდებულია სამუშაოს ღირებულება გადაიხადოს ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 დღის ვადაში.

6. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

6.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

7. ფორს-მაჟორი ანუ გაუთვალისწინებელი შემთხვევები

7.1. ხელმომწერი მხარე ამ ხელშეკრულების პირობების შესრულებისაგან თავისუფლდება ნაწილობრივ ან მთლიანად, თუ შეუსრულებლობა განპირობებული იყო გადაულახავი დაბრკოლებით (მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, დესტაბილიზაცია სახელმწიფოში), რასაც ხელშეკრულების დადების მომენტში ხელმომწერი მხარე ვერ გაითვალისწინებდა მის ხელთ არსებული საშუალებებით.

7.2. ხელმომწერი მხარე ან მისი კანონიერი მემკვიდრე (მეურვე), რომელიც გადაულახავი დაბრკოლების პირობებს იმოწმებს, მოვალეა დაუყოვნებლივ აცნობოს ეს მეორე მხარეს წერილობით. თუ ხელმომწერი მხარე შესაბამის შეტყობინებას არ გაუგზავნის ან დააგვიანებს, იგი მოვალეა მიყენებული ზარალი აუნაზღაუროს მეორე მხარეს 2 თვეში.

8. ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები

8.1. ეს ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

8.2. საკითხები, რომლებიც განხილული არ არის ამ ხელშეკრულებაში, გადაწყდება დამატებითი ხელშეკრულების დადებით.

8.3. ქონებრივი ან არაქონებრივი დავა, რომელთა გამო მხარეები ვერ შეთანხმდებიან, გადაწყდება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.4. ინფლაციური პროცესების შემთხვევაში "კოდექს-ოფისი"-ს ინფორმაციული განახლების ანაზღაურება შეიძლება შეცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მხარეთა იურიდიული მისამართები

9.1. ამ ხელშეკრულებას მხარეები დებენ **2015 წლის 31 იანვრამდე.**

9.2. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად და ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა ენიჭება მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან.

9.3. მხარეთა იურიდიული და საბანკო რეკვიზიტებია:

მიმწოდებელი	შემსყიდველი
შ.პ.ს. "ინფოსერვისი"	**სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**
თბილისი, ხეთაგუროვის ქ.4	ქ. თბილისი, კოსტავას №77
ტელ: 295-10-36	ტელ: 2365203
საიდენტიფიკაციო კოდი 200001229	საიდენტიფიკაციო კოდი 211349192
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
ბანკი "რესპუბლიკა"-ს	თიბისი ბანკი
სადგურის ფილიალი	ანგ. №GE47TB0600000003408001;
ანგარიშის № GE31BR0600003608002037	კოდი 220101830
კოდი REPLGE22	

შ.პ.ს. "ინფოსერვისი" - ს	**სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის**
დირექტორი	**ადმინისტრაციის ხელმძღვანელი**
ზურაბ თეთრაძე	**ქეთევან ქოქრაშვილი**